ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №444215

ნომერი: AR189743

თარიღი : 31.10.2012

გაცემის თარიღი : 22.11.2012

გაცნობის თარიღი : 27.11.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ , რადიო სადგურის მიმდებარედ , (ნაკვეთი N 001/133) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:

- შპს "არტსტუდიო პროექტი" კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 სექტემბრის №№336367 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სამსახურს 2012 წლის 31 ოქტომბერს №AR189743 განცხადებით მომართეს მოქალაქე ქეთევან ფანცულაიამ და შპს „შავი ზღვის უნივერსიტეტის“ დირექტორის შევქეთ ერჯან თუნჩის მინდობილმა პირმა ისლამ მასაჯიმ და მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 სექტემბრის №336367 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 სექტემბრის №№336367 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, რადიო სადგურის მიმდებარედ (ნაკვ. №001/133), შ.პ.ს. "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე უნივერსიტეტის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 06 სექტემბრიდან 2014 წლის 06 მარტის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, არქიტექტურული პროექტის ატვირთვისას მათ მიერ არასწორად იქნა მითითებული ობიექტის ფუნქციური დანიშნულება, კერძოდ: ბიბლიოთეკის ნაცვლად მითითებული იქნა უნივერსიტეტი, რამაც ასახვა ჰპოვა სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

სამსახურმა შეისწავლა საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებაში მოთხოვნის საფუძვლიანობა და დაადგინა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფლდეს, ვინაიდან შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით ობიექტი წარმოადგენს ბიბლიოთეკას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, დმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, 51-ე, 52-ე, 63-ე, 95-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 05 სექტემბრის №336367 ბრძანებაში, კერძოდ: საპროექტო ობიექტის ფუნქციად უნივერსიტეტის ნაცვლად დაფიქსირდეს ბიბლიოთეკა;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას სამსახურის 2012 წლის 05 სექტემბრის №№336367 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.